საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომაზე სტუ-ის სენატის სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სენატის წევრთა შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტ ნიკა ცხადაძეს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, შეუწყდეს სენატის წევრის უფლებამოსილება;
2. სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტ ვახტანგ თოფურიას, სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, შეუწყდეს სენატის წევრის უფლებამოსილება;
3. სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტ ლაშა სებისკვერაძეს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, შეუწყდეს სენატის წევრის უფლებამოსილება;
4. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტ ნინო კახეთელიძეს, სასწავლო პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით, შეუწყდეს სენატის წევრის უფლებამოსილება;
5. ცნობილ იქნეს სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორ ნოდარ ფოფორაძის უფლებამოსილება სტუ-ის სენატის წევრად.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №1750.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №1750 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები (იხ. დანართი).

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის
2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სამშენებლო ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 58 808 ლარით, რაც გამოწვეულია პირველ კურსზე ჩარიცხული და მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე და ნაცვლად გათვალისწინებული 4 430 925 ლარისა, შეადგინოს 4 489 733 ლარი. შემოსულობების ზრდის შესაბამისად, ადმინის-ტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადასახდელების დაფინანსებისთვის გადასაცემი თანხა გაიზარდოს 7 395 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 634 120 ლარისა, შეადგინოს 641 515 ლარი, ხოლო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გადასაცემმა თანხამ შეადგინოს 236 085 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები განისაზღვროს 3 612 133 ლარით ანუ 51 413 ლარით მეტი, საიდანაც 16 413 ლარი მიმართულ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 35 000 ლარი – არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა/დანადგარების მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული.

„საქართველოს განათლების შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის, სტუ-ის წესდების 33-ე მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2015 წლის 5 ოქტომბრის №1730 დადგენილების საფუძველზე, ემერიტუსის წოდებისათვის თვეში გასაცემი სარგო შეადგენს 4 830 ლარს და შესაბამისად წლის ბოლომდე საჭიროა 7 260 ლარი. აღნიშნული თანხა თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან გადატანილ იქნეს წოდებრივი სარგოს მუხლში. ასევე, შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 25 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 11 064 ლარი – ქონების გადასახადის მუხლში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დამტკიცდეს სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 4 489 733 ლარით, ადმინისტრაციისათვის გადასაცემი თანხა

განისაზღვროს 641 515 ლარით, ხოლო ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები – 3 612 133 ლარით. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, დამტკიცდეს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

2.1. თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 5 052 ლარი გადატანილ იქნეს წოდებრივი სარგოს მუხლში, ხოლო 1 848 ლარი – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

2.2. შემცირდეს კომუნალური ხარჯების, წყლის ხარჯების მუხლი 32 520 ლარით, საიდანაც 105 ლარი გადატანილ იქნეს საკანცელარიო ხარჯების მუხლში; 415 ლარი – ნორმატიული აქტების, საცნობარო და ჟურნალ/გაზეთების შეძენის მუხლში; 13 000 ლარი – ქონების გადასახადის მუხლში; 14 000 ლარი – არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მუხლში; 5 000 ლარი – სხვა მანქანა/დანადგარების და ინვენტარის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; არაფინანსური აქტივების ელექტრომოწყობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურა, ოპტიკური ხელსაწყოები, ავეჯის შეძენის მუხლიდან 25 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა/დანადგარების და ინვენტარის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 326 472 ლარით და დამატებითი კრედიტების საფასურის ჩათვლით (37 173 ლარი) შეადგინოს 2 745 628 ლარი. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხა შემცირდეს 30 000 ლარით და შეადგინოს 62 163 ლარი, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხა შეადგენს 101 702 ლარს, ხოლო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად მისაღები თანხა – 115 596 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვროს 2 697 359 ლარით. შესაბამისად, 296 472 ლარით შემცირდეს გადასახდელების თანხის ოდენობა, კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტი – 115 098 ლარით; პრემია – 37 213, ხოლო დანამატი – 920 ლარით; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი –74 519 ლარით; მივლინების მუხლი – 5 352 ლარით; საკანცელარიო, საწერ/სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა მსგავსი მასალების შეძენის ხარჯები – 68 ლარით; კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯები – 560 ლარით; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო/სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები – 6 500 ლარით; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები – 2 731 ლარით; კავშირგაბმულობის და

სატელევიზიო მომსახურების ხარჯები – 1 830 ლარით; ინტერნეტის ხარჯები – 3 140 ლარით; წყლის ხარჯები – 33 027 ლარით; ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯები – 4 522 ლარით; უნიფორმის შეძენის ხარჯი – 100 ლარით; საწვავ/საპოხი მასალის შეძენის ხარჯები – 847 ლარით; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები – 1 000 ლარით; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები – 1 000 ლარით; სოციალური უზრუნველყოფის მუხლი – 855 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტი – 4 190 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის პუნქტი – 3 000 ლარით; ასევე, განხორციელდა ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტიდან გადატანილ იქნეს 5 428 ლარი წოდებრივი სარგოს პუნქტში, ელექტროენერგიის ხარჯებში – 2 698 ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლის ქონების გადასახადის პუნქტში – 7 645 ლარი;

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

4.1. თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 13 657 ლარი გადატანილ იქნეს წოდებრივი სარგოს მუხლში; ხოლო 3 144 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში;

4.2. დანამატის მუხლიდან 920 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში; მივლინების ხარჯებიდან 1 319 ლარი – შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენის ხარჯებიდან 1 092 ლარი – შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში; კავშირგაბმულობისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯებიდან 80 ლარი – შენობა/ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში; 400 ლარი – კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში; ინტერნეტის ხარჯებიდან 1 900 ლარი – სამედიცინო მომსახურების ხარჯების მუხლში; ელექტროენერგიის ხარჯებიდან 4 724 ლარი – არასაცხოვრებელი შენობების მუხლში; 826 ლარი – კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 500 ლარი – შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში; მოსაკრებელიდან 120 ლარი – სხვა ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში; 2 440 ლარი – შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში; სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯებიდან 300 ლარი – შენობა/ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა/დანადგარების შენახვისა

და ექსპლუატაციის ხარჯებიდან 7 430 ლარი – პრემიის მუხლში; ხოლო 3 600 ლარი – სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების მუხლში;

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შემცირდეს 266 299 ლარით და განისაზღვროს 4 977 752 ლარით, ნაცვლად 5 244 051 ლარისა. ასევე, შემცირდეს ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა 60 800 ლარით და განისაზღვროს 580 000 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შემცირდეს 205 499 ლარით. ბიუჯეტში განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

5.1.თანამდებობრივი სარგოს პუნქტიდან 16 182 ლარი გადატანილი იქნეს წოდებრივი სარგოს პუნქტში; ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლიდან 48 345 ლარი – შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში; 155 ლარი – საკანცელარიო ხარჯების მუხლში; ხოლო 14 897 ლარი – ქონების გადასახადის მუხლში; ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლიდან – 26 950 ლარი; ლიცენზიერებისა და კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მუხლიდან – 26 585 ლარი; სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლიდან – 15 500 ლარი და არასაცხოვრებელი შენობების მუხლიდან – 10 860 ლარი; სულ ჯამში 79 895 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა/დანადგარების მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; არასაცხოვრებელი შენობების მუხლიდან 3 090 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯების მუხლში; 390 ლარი – ტრანსპორტის მიმდინარე რემონტისა და ხელსაწყოების შეძენის მუხლში; 250 ლარი – ორდენებისა და სიგელების შეძენის მუხლში;

6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 3 223 ლარით და განისაზღვროს 1 885 298 ლარით, ნაცვლად 1 882 075 ლარისა.

ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა დარჩეს უცვლელი და განისაზღვროს 191 916 ლარით. ბიუჯეტში განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

6.1. თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 7 370 ლარი გადატანილ იქნეს წოდებრივი სარგოს მუხლში;

6.2. ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლიდან 4 670 ლარი გადატანილ იქნეს სხვა მანქანა/დანადგარების მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯებიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; სხვა ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯებიდან 4 000 ლარი – პრემიის მუხლში; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 5 000 ლარი – პრემიის მუხლში; მივლინების მუხლიდან 5 372 ლარი – ქონების გადასახადის მუხლში;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი, 12 321 060 ლარი, შემცირდეს 441 550 ლარით და განისაზღვროს 11 879 510 ლარით. ასევე, შემცირდეს ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა 97 781 ლარით და განისაზღვროს 4 322 337 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შემცირდეს 343 369 ლარით. ბიუჯეტში განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

7.1. თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 14 042 ლარი გადატანილ იქნეს წოდებრივი სარგოს მუხლში;

7.2. ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც.ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის ხარჯებიდან – 10 000 ლარი; ინტერნეტის ხარჯებიდან – 5 000 ლარი; რბილი ინვენტარისა და ფარდა/ჟალუზების შეძენის ხარჯებიდან – 5 000 ლარი; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის, მანქანა/დანადგარების ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 10 000 ლარი; სულ ჯამში 30 000 ლარი გადატანილ იქნეს ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯების მუხლში; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან – 4 630 ლარი; ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან – 1 285 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის ხარჯებიდან 7 085 ლარი; სულ ჯამში 13 000 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯების მუხლში; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯებიდან – 5 000 ლარი; კულტურულ, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან – 5 000 ლარი; სხვა ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯებიდან – 5 000 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან – 8 440 ლარი; ელექტრომოწყობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 5 000 ლარი; სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებიდან – 5 000 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული მუხლიდან – 5 000 ლარი; სულ ჯამში 38 440 ლარი გადატანილ იქნეს ქონების გადასახადის მუხლში;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი, შემცირდეს 803 912 ლარით და განისაზღვროს 7 914 913 ლარით. აქედან გამომდინარე, შემცირდეს გადასახდელები, კერძოდ, არაფინანსური აქტივების, არასაცხოვრებელი შენობების მუხლი – 803 912 ლარით;

ასევე, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯების გადასახდელებისათვის დამატებით გაიცეს 600 000 ლარი და შეადგინოს1 443 495 ლარი, ნაცვლად 843 495 ლარისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხის მოცულობა შეადგენს 8 147 464 ლარს. ბიუჯეტში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

8.1. თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 8 682 ლარი გადატანილ იქნეს წოდებრივი სარგოს მუხლში;

8.2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს სოციალური დახმარების მუხლში; 20 000 ლარი − მივლინების მუხლში; 2 000 ლარი − ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის შეძენის მუხლში; 500 ლარი − არაწარმოებული, არამატერიალური აქტივების მუხლში; 2 000 ლარი − წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში; წყლის ხარჯების მუხლიდან 75 000 ლარი − ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯების მუხლში; ძირითადი აქტივების არასაცხოვრებელი შენობების მუხლიდან 25 000 ლარი − ქონების გადასახადის მუხლში;

9. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტი შემცირდეს 519 887 ლარით; შემოსავალი განისაზღვროს 2 001 188 ლარით და ნაშთის ჩათვლით (322 048 ლარი) განისაზღვროს 2 323 236 ლარით.

ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხა იზრდება 200 000 ლარით და შეადგენს 547 000 ლარს; ხოლო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხა შეადგენს 209 934 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვროს 1 566 302 ლარით, რაც იწვევს ფაკულტეტის ბიუჯეტის გადასახდელების შემცირებას 719 887 ლარით. ასევე, ბიუჯეტში განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

9.1 „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის სამეცნიერო ხარჯებიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯებში; 5 000 ლარი − ტრანსპორტის დაქირავების (გადაყვანა/გადაზიდვის) ხარჯებში, 2 100 ლარი − სოციალური უზრუნველყოფის მუხლში, ხოლო 14 000 ლარი − არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში; ასევე არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა/დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული პუნქტიდან, 20 000 ლარი გადატანილ იქნეს არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში; ხოლო 4 851 ლარი − სხვა ხარჯების ქონების გადასახადის პუნქტში;

10. დიზაინის საერთაშორისო სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდეს 110 375 ლარით და განისაზღვროს 140 625 ლარით.

ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებიდან ფაკულტეტის ასიგნებების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა გაიზარდოს 18 474 ლარით და განისაზღვროს 108 474 ლარით; ხოლო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობამ შეადგინოს 5 490 ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვრება 243 609 ლარით. შესაბამისად, შემცირდება გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები;

11. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა/დანადგარების მოვლა/შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 400 ლარი გადატანილ იქნეს სამეცნიერო ხარჯების მუხლში; ხოლო თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 18 700 ლარი – პრემიის მუხლში;

12. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 3 600 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 900 ლარი და საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან – 300 ლარი; სულ ჯამში 1 200 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში; ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯებიდან – 60 ლარი; ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან 110 ლარი და საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან 190 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში;

13. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 2 400 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ელექტროენერგიის ხარჯებიდან 1 800 ლარი – ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლში; არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 1 000 ლარი – ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლში; ხოლო 800 ლარი – კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში;

14. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუ-ტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის, მოვლა/შენახვის ხარჯების მუხლში; ხოლო 1 000 ლარი – ელექტროენერგიის ხარჯების მუხლში;

15. ინსტიტუტი „ტექინფორმის“ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა/ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 2 100 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში;

16. ვ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 13 862 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში;

17. ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კომპიუტერული პროგრამების შეძენა/განახლების ხარჯებიდან – 600 ლარი; საფოსტო მომსახურეობის ხარჯებიდან – 100 ლარი; ბუნებრივი და თხევადი აირის

ხარჯებიდან − 3 000 ლარი; საქონელი და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯებიდან, რომელიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლში, − 2 600 ლარი; კანალიზაციისა და ასენიზაციის ხარჯებიდან − 500 ლარი; სულ ჯამში 6 800 ლარიდან მივლინების მუხლში გადატანილ იქნეს 6 000 ლარი, ხოლო საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებში − 800 ლარი; აგრეთვე, შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 40 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლში კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად;

18. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტროენერგიის ხარჯებიდან − 8 084 ლარი; წყლის ხარჯებიდან − 2 000 ლარი; ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯებიდან − 1 267 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯებიდან − 1 501 ლარი; ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან − 1 500 ლარი; სულ ჯამში 14 352 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში; ასევე, თანამდებობრივი სარგოს მუხლდან 3 060 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; მივლინებიდან 20 000 ლარი − კომპიუტერული პროგრამების განახლებისა და შეძენის მუხლში, ხოლო სხვა ხარჯების მუხლიდან 18 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლში კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად;

19. კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯებიდან − 4 050 ლარი, წყლის ხარჯებიდან − 1 000 ლარი; გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის, ასევე გენერატორის საწვავის შეძენის ხარჯებიდან − 6 500 ლარი; ასინილიზაციისა და კანალიზაციის ხარჯებიდან − 500 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯებიდან − 500 ლარი, არაფინანსური აქტივების ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების და ავეჯის შეძენის პუნქტიდან − 1 740 ლარი, სულ 14 290 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლის კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის პუნქტში; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლიდან 3 140 ლარი და ელექტროენერგიის ხარჯებიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში;

20. განხორციელდეს ცვლილება სტუ-ის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში, კერძოდ დეპოზიტიდან შემოსავლების გრაფაში, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 66 500 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერგიის ხარჯებში; ხოლო 6 513 ლარი − წყლის ხარჯებში;

21. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების დამტკიცებულ ბიუჯეტში, საფაკულტეტო ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ცვლილებიდან გამომდინარე, შეიცვალოს როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვითი ნაწილი, კერძოდ, სამშენებლო ფაკულტეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა გაიზარდოს 7 395 ლარით და შეადგინოს 641 515 ლარი; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა დარჩეს უცვლელი და

შეადგინოს 692 297 ლარი; სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა შემცირდეს 30 000 ლარით და შეადგინოს 62 163 ლარი; ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა დარჩეს უცვლელი და შეადგინოს 60 615 ლარი; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა შემცირდეს 60 800 ლარით და შეადგინოს 580 000 ლარი; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა დარჩეს უცვლელი და შეადგინოს 191 916 ლარი; ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა შემცირდეს 97 781 ლარით და შეადგინოს 4 322 337 ლარი; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა იზრდება 600 000 ლარით და შეადგენს 1 443 495 ლარს; აგრარული მეცნიერებებისა და ბიო-სისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტიდან გადასაცემი თანხის ოდენობა გაიზარდოს 200 000 ლარით და შეადგინოს 547 000 ლარი; დიზაინის საერთაშორისო სკოლას ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან, დამატებითი ტრანსფერის სახით, გადასაცემი თანხის ოდენობა განესაზღვროს 18 474 ლარით და შეადგინოს 108 474 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტი გაიზარდოს 600 340 ლარით ანუ განისაზღვროს 8 172 167 ლარით, რომელიც გადანაწილდება კლასიფიკაციის ხარჯვითი ნაწილის შემდეგ მუხლებში: დანამატის მუხლს დაემატოს 11 985 ლარი; საკანცელარიო ხარჯების მუხლს – 13 232 ლარი; სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების მუხლს – 11 267 ლარი; მოსაკრებელის ხარჯს – 300 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლს – 5 416 ლარი; ელექტროენერგიის ხარჯი გაიზარდოს 28 000 ლარით; წყლის ხარჯი გაიზარდოს 7 400 ლარით; ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი გაიზარდოს 23 400 ლარით; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 499 340 ლარით, საიდანაც 220 720 ლარი განსაზღვრულია შიგა პროექტების დასაფინანსებლად; 100 000 ლარი – სსიპ შოთა რუსთაველის ფონდის გრანტების თანადაფინანსებისათვის, ხოლო 154 650 ლარი – ადმინისტრაციის შტატგარეშეთა ანაზღაურებისათვის.

ასევე, განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის ბინის ქირის ხარჯებიდან 14 400 ლარი გადატანილ იქნეს საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ დანარჩენ ხარჯებში, რომლებიც არ კლასიფიცირდება საქონელსა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში;

22. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 16 ნოემბრის №MES 01501196062 წერილისა და მინისტრის 2015 წლის 13 ნოემბრის №1214 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხება „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის

ფარგლებში დაფინანსებას, ტექნიკური უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხულია 317 700 ლარი და მოიცავს ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში გასაცემ ასიგნებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის გრაფა 317 700 ლარით; ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს იგივე პროგრამით;

25. „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი 32 04 02 05) დამტკიცების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის N59 ბრძანებაში შესული ცვლილების გამო (ბრძანება N1203 06.11.2015), რომელშიც ასახულია უნივერსიტეტისათვის განსაზღვრული ასიგნებების კლება პროგრამის ფარგლებში აპრილ-ივნისში ჩატარებული ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით, რომელიც ეხებოდა ინტერნეტ და სატელეფონო მომსახურებას და შეადგინა 1 869 ლარი, შემცირდეს პროგრამის ბიუჯეტი და ნაცვლად გათვალისწინებული 5 069 390 ლარისა განისაზღვროს 5 067 531 ლარით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№4**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის ბიუჯეტის შედგენის წესი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ქონების ჩამოწერის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს საკითხი სტუ-ის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ქონების ჩამოწერის შესახებ.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომაზე სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე „არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის“ დეპარტამენტის შექმნის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №1700.

სენატმა დაადგინა: შეიქმნას სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე დეპარტამენტი სახელწოდებით „არქეოლოგია და საქართველოს ისტორია“.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომაზე პროფ. თენგიზ მუსელიანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული ენერგეტიკული დანადგარების ტექნიკური დიაგნოსტიკისა და ენერგოეფექტურობის ცენტრის გაუქმების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №1768.

სენატმა დაადგინა: გაუქმდეს სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული ენერგეტიკული დანადგარების ტექნიკური დიაგნოსტიკისა და ენერგოეფექტურობის ცენტრი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომაზე პროფ. კოკა იაკობიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „მაიზოლირებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სამეცნიერო საცდელ-საკონსტრუქტორო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №1771.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „მაიზოლირებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სამეცნიერო საცდელ-საკონსტრუქტორო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომაზე პროფ. თემურ კაპანაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ტექნოლოგიური პროცესების მოდელირებისა და კომპიუტერული მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №1746.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ტექნოლოგიური პროცესების მოდელირებისა და კომპიუტერული მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 4 დეკემბრის №95 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **4** დეკემბრის **№95** სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 13 ნოემბრის დადგენილება №1809.

სენატმა დაადგინა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მასწავლებელთა ერთ საათში გაწეული შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 7 (შვიდი) ლარით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე